



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 736

თბილისი

„ 03 „ 06 2019 წ.

ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის ასარჩევად წარსადგენი დირექტორობის კანდიდატების სიის, ასევე ქალაქ თბილისის იმ საჯარო სკოლების სიის დამტკიცების თაობაზე, რომლის სამეურვეო საბჭოებსაც დირექტორობის კანდიდატები წარედგინებიან ასარჩევად

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლების დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ 201 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, ირინე აბულაძის, 2019 წლის 03 ივნისის N689031 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის ასარჩევად წარსადგენი დირექტორობის კანდიდატების სია, ასევე, ქალაქ თბილისის იმ საჯარო სკოლების სია, რომლის სამეურვეო საბჭოებსაც დირექტორობის კანდიდატები წარედგინებიან ასარჩევად დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.)

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ გიორგაძე

სკოლის დასახელება
სსიპ - ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლა
სსიპ - ქალაქ თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა
სსიპ - ქალაქ თბილისის №216 საჯარო სკოლა
სსიპ - ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა
სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა